შპს "ომნესტური" კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე
და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs)

31 დეკემბერი, 2022

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება..... 1
სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება..... 3
ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება..... 4

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1964074	2923320
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	828953	395260
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	327016	614753
მარაგები	87617	98937
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	87617	98937
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	28961	37430
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	610887
სხვა არამატერიალური აქტივები	47898	33760
ძირითადი საშუალებები	10039249	6765657
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	300000	0
სულ აქტივები	13623768	11480004
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	209720	0
სავაჭრო ვალდებულებები	135514	248141
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13931	0
საგადასახადო ვალდებულებები	103255	330574
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	300000	764802
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4628707	4107443
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	908839	47715
სულ ვალდებულებები	6299966	5498675
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	7321802	5979329
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
კაპიტალი	7323802	5981329
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	7323802	5981329
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13623768	11480004
სულ მოკლევადიანი აქტივები	3281566	4069700
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	135514	1391232

OMNESTOUR LTD
OMNESTOUR
205083648

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	10587074	8995411
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	10587074	8995411
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
საერთო მოგება	10587074	8995411
სხვა საოპერაციო შემოსავალი	152352	83951
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1545678	-490663
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1064617	-748254
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-908770	-738097
იჯარის ხარჯი	-42000	-42000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-5837889	-2297257
სულ საოპერაციო ხარჯები	-9246602	-4232320
საოპერაციო მოგება	1340472	4763091
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1340472	4763091
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1340472	4763091
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1340472	4763091
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	1340472	4763091
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	1340472	4763091
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	1340472	4763091
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1340472	4763091
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5981329	798671
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	2001	419567
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7323802	5981329

"OMNESTOUR" LTD - TOUR OPERATOR
OMNESTOUR
205083646

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	33509184	4876147
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-18377716	20888
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-15470899	-2482842
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-339431	2414193
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-619815	-30198
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2923320	539325
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1964074	2923320

შპს "ომნესტური" კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

(ციფრები მოცემულია ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ომნესტური„ რეგისტრირებულია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილებით #06/5/ბ747 05.08.2005 წელს „მეწარმეთა შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად. გადასახადის გადამხდელის სარეგისრაციო მოწმობის სერია #04/16. (დღგ-ზე რეგისტრირებულია 19.07.2006 წელს, სერთიფიკატი #082980.) მისამართი: ქალაქ თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ, 20 კორ. ბინა 36 საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: **205083648**
დამფუძნებელი: 100% წილით ჯუზეპე პაზოტო (პ/ნ01092001388)

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ✓ ტურისთული საქმიანობა (შემომყვანი და გამყვანი ტურიზმი)
- ✓ ტრანსპორტით მომსახურეობა
- ✓ ავია ბილეთების რეალიზაცია
- ✓ სასტუმროების დაჯავშნა/ საშუამავლო მომსახურეობა
- ✓ დაზღვევა, საშუამავლო მომსახურეობა
- ✓ სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

2 მომზადების საფუძველი

შპს "ომნესტური"-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.
2018 წლის 1 იანვრისთვის ამოქმედდა სააღრიცხვო პოლიტიკა.
სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და კანონ-ქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით:

- ✓ საქართველოს კონსტიტუცია;
- ✓ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ";
- ✓ საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- ✓ საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS)
- ✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS);
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs);

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

<u>უცხოური ვალუტის კონვერტაცია</u>

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც ოპერირებს „ორგანიზაცია". „ორგანიზაცია" ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("Lari", "GEL").

- უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციები და საბანკო ანგარიშებზე არსებული უცხოური თანხები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში, ქართულ ლარში, ოპერაციის შესრულების დღისათვის ეროვნული ბანკის გაცვლითი კურის საფუძველზე. **www.nbg.gov.ge**

2022 წლის 31 დეკემბერს ეროვნული ბანკის გაცვლითი კური

შპს ომნესტურმა 2020 წლის 14 მაისს შეიძინა შპს ომნიბუს ექსპრესი 100 % წილით.
შპს ომნიბუს ექსპრესი ახორციელებს მგზავრთა გადაყვანას საქარველოს მაშთაბით

<u>ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი</u>

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი შედგება ნაღდი ფულისგან, მოთხოვნამდე დეპოზიტებისგან და სხვა მოკლევადიანი მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებისგან დაფარვის სამ თვიანი ან ნაკლები პირველადი თარიღით. ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგების მიზნით, შეზღუდული ბალანსები გამოირიცხება ფულადი სახსრებისგან და მათი ექვივალენტებისგან.

- **ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / შემცირება** მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს.
- **ფული** ნიშნავს ფულად სახსრებს სალაროში, ბანკში და მოთხოვნამდე დეპოზიტზე.
- **ფულის ეკვივალენტები** არის მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციები, რომელთა განსაზღვრულ ფულად სახსრებად კონვერტაცია ადვილად შესაძლებელია და მათი ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი ძალიან მცირეა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები

სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, წარმოადგენს გარიგების ფაქტობრივი ფასის ოდენობას. ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს მოხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გადახედვა, რათა დადგინდეს, არის თუ არ ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თანხები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში მოხდება მნიშვნელოვანი დანაკარგის დაუყოვნებლივ აღრიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. გაუფასურების ზარალი მაშინვე აისახება მოგება-ზარალისანგარიშგებაში.

საწვავის აღრიცხვა:

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და ბარათებით. საწვავის შეძენა აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები და ბარათები გაიცემა ანგარიშვალდებულ პირზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყვეტად.

საწვავის ჩამოწერა ხდება ინვოისში გაწერილი მარშუტის მიხედვით, ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრების და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

ტექნოლოგიური დანიშნულებისათვის საწვავი შეისყიდება და განთავსდება რეზერვუარში. მისი ჩამოწერა ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯვის ოდენობით, აქტის საფუძველზე.

საგადასახადო მიზნებისთვის საწვავის აღრიცხვა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილს #230 ბრძანების საფუძველზე.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მომსახურებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს:

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ფლეშკები, ეკრანის გამწმენდი სითხე და ა.შ) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

მასალები, რომლებიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება რიგირც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე.

სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სადანადო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მისი თვითღირებულებებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მათ შორის: იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო ბაჟს, არა დაბრუნებად გადასახადებს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულებამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს საწარმომდე ტრანსპორტირების, ადგილმდებარეობის მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს ნაწილების გამოცვლისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომელთა მიზანია აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის გახანგრძლივება ან მისგან მიღებული შემოსავლის გაზრდა. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების გაწევისას, რომლებიც კაპიტალიზაციის ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიწას და აქტივებს, რომელიც ჯერ არ შესულა ექსპლუატაციაში ცვეთა არ ერიცხება, სხვა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სარგებლობის ვადის განმავლობაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის თანხა იანგარიშება „წრფივი" მეთოდით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით.
- სალიკვიდაციო ღირებულება ძირითადი საშუალების განისაზღვროს შემდეგნაირად:

  ძირითადი საშუალების თვითღირებულების

  20%-ით - შენობა-ნაგებობისთვის (უძრავი ქონება, გარდა მიწისა)

  15%-ით - მოწყობილობების და მანქანა-დანადგარებისთვის

  10%-ით - ავეჯისა და საოფისე მოწყობილობებისთვის

  15%-ით - სატრანსპორტო საშუალებებისთვის

  5%-ით - მცირე ფასიანი ინვენტარისთვის
- ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე
  - შენობა-ნაგებობა (უძრავი ქონება, გარდა მიწისა) 15-40 წლამდე
  - მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები 5-10 წლამდე
  - ავეჯი და ოფისის მოწყობილობა 3-10 წლამდე
  - სატრანსპორტო საშუალებები 5-12 წლამდე
  - მცირე ფასიანი ინვენტარი და სხვა 3-8 წლამდე
- ვადის ამოწურვის შემდეგ ძირითადი საშუალება ინარჩუნებს სალიკვიდაციო ღირებულებას მის რეალიზაციამდე. რეალიზაციის შედეგად ძირითადი საშუალებიდან მიღებული თანხა აისახოს შესაბამისი პერიოდის შემოსავლად ან/და ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

<u>სხვა აქტივების აღრიცხვა</u>

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედო განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

სპეცტანსაცმლები და შრომის დაცვის საშუალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობა და სხვა) ძირითად საშუალებებში და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში (მარაგები) არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

<u>არამატერიალური აქტივები</u>

- ნაყიდი არამატერიალური აქტივი აღირიცხება მისი თვითღირებულებებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მათ შორის: განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისთვის.
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღიარდება ნარჩენი ღირებულებით.
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.
- საკუთარი ძალით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტიური თვითღირებულებებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა უზრუნველყოფილ იქნას არამატერიალური აქტივების თვითღირებულების დადგენა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი ლიცენზიები 4-10 წელი.

არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა. არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

<u>არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა</u> ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის „ორგანიზაცია" აფასებს არსებობს თუ არა იმ აქტივების გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას. აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება ფასდება გაუფასურებაზე. აქტივის გაუფასურების ზარალის აღრიცხვა ხდება მაშინ როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება აქტივის სამართლიან ღირებულებას, გაყიდვებზე და გამოყენებაზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივების დაჯგუფება ხდება ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადების (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების) სახით. თითოეული საანგარიშო თარიღისთვის ხდება გაუფასურებული არაფინანსური აქტივების, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალის აღდგენის შესაძლებლობის განხილვა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

<u>სავაჭრო კრედიტორული დავალიანება</u>

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, საწყისი აღიარებისას, წარმოადგენს გარიგების ფაქტობრივი ფასის ოდენობას.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების გადაყვანა ხდება ფუნქციონირებად ვალუტაში (ქართულ ლარში) ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

<u>იჯარა</u>

ფინანსური იჯარის ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ „ორგანიზაცია" წარმოადგენს მოიჯარეს, რომელსაც მეიჯარისგან გადაეცა კომპანიის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და მოგება, იჯარით გაცემული აქტივებიას კაპიტალიზირება ხდება ძირითად საშუალებებში იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, და ფასდება იჯარით გაცემული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მიმდინარე მინიმალურ საიჯარო ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, გარდა სამომავლო ფინანსური ხარჯებისა, შედის სასესხო ვალდებულებებში. იჯარის მოქმედების პერიოდში, პროცენტის დაფარვაზე გაწეული ხარჯების ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარით შეძენილი აქტივები უფასურდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ან აღნიშნული ვადის გასვლამდე, იმ შემთხვევაში თუ „ორგანიზაცია" არ არის დარწმუნებული იმაში, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ აქტივი გადავა მის მფლობელობაში.

უკულიზინგის შემთხვევაში, გამყიდველი-მოიჯარისგან მიღებული ნებისმიერი მოგება ამორტიზირდება იჯარის ვადის განმავლობაში.

იმშემთხვევაში,როდესაცგარიგებისშედეგადმიიღებასაოპერაციოიჯარადაგარიგებახდებასამართლიანი ღირებულების ოდენობით, დაუყოვნებლივ ხდება ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღრიცხვა ან ამორტიზირდება აქტივის გამოყენების პერიოდისგანმავლობაში.

<u>საოპერაციო იჯარა</u>

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელების რისკები და სარგებელი მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღრიცხვა მოგებაში ან ზარალში ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში.

<u>კრედიტები და სესხები</u>

ბანკის სესხების და ოვერდრაფტების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყო გაწეული.

სესხის სარგებლობასთან დაკავშრებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

<u>ამონაგები</u>

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება. ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის, საქონლის დაბრუნებების, ფასდათმობების და მარკეტინგული აქტივობების დანახარჯების გამოკლებით.

ორგანიზაცია აღიარებს ამონაგებს როდესაც შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

<u>საწესდებოკაპიტალი</u>

კომპანიისსაწესდებოკაპიტალი განისაზღვრებაკომპანიისმფლობელისგადაწყვეტილების საფუძველზე.

<u>შემოსავლები და ხარჯები</u>

შემოსავალი არის ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

შემოსავლის სახეებია : საოპერაციო და არასაოპერაციო.

- <u>საკასომეთოდით</u> შემოსავლების აღიარების მომენტად ითვლება მომსახურების გაწევის მომენტი, თუ:
  - გადატვირთულია საქონელი და ამავე დროს ხდება თანხის განაღდება;
  - მიღებულია ავანსი საქონლის /მომსახურების მთლიანი ღირებულების ოდენობით.
- <u>დარიცხვის მეთოდის</u> მიხედვით შემოსავლის აღიარებისათვის საკმარისია, რომ საკუთრების უფლება საქონელსა და მომსახურებაზე გადაეცეს მყიდველს და მან აღიაროს ვალდებულება. ასეთი პირობით წარმოიქმნება დარიცხული შემოსავალი დებიტორული დავალიანების სახით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით ე. ი. მესამე პირის ხელით ამოღებული თანხების (დღგ, აქციზი) გარეშე;

- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში და აისახება მისი წყაროების მიხედვით;
- ხარჯები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

  წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
  - დივიდენდების გასაცემად;
  - ორგანიზაციის რეინვესტირებისათვის
  - სხვა მიზნით დამფუძნებლის გადაწყვეტილებით
- საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი გაუნაწილებელი მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები / განაცემები, რომლებიც ეკონომიურ საქმიანობასთან არ არის დამოკიდებული, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ იდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისთვის გახსნილი სუბ ანგარიშებზე

<u>დაქირავებულ პირთა გასამრჯელო</u>

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც საზოგადოების თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

თანამშრომელს ზეგანაკვეთური სამუსაოს შესრულება დაიანგარიშება წლის ბოლოს და ერთი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ფარავს ორგანიზაცია.

თანამშრომელს ხელფასის მოთხოვნა შეუძლია ავანსის სახით მაქსიმუმ სამი თვის.

თანამშრომელს არაჯეროვნად შესრულებულ სამუშაოსთვის მიეცემა გაფრთხილება, შემდეგ ფულადი ჯარიმა, რომელიც აისახება მის ანაზღაურებაში.

<u>დივიდენდი</u>

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი აღიარება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც აღიარებულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ.